ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4194173

ნომერი: AR1630776

თარიღი : 14.09.2018

გაცემის თარიღი : 09.10.2018

გაცნობის თარიღი : 09.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , III მ/რ , მე-15 კორპუსის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , III მ/რ კორპუსი N1-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ლოლაშვილი პ/ნ 01008008282
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2994892
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 19.12.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მალხაზ კვესელავა
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,ქართულ-უკრაინული სამშენებლო ჯგუფი,,
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400131905

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,ქართულ-უკრაინული სამშენებლო ჯგუფი,,
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400131905
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიხეილ ალიბეგაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01019005647

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1087.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 604.2
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 4944.7
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1998.1
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 1015.1
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 338.2
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 376.1
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 773.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 444.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 16675.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 15165.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1510.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 39.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 36.12
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.08
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ1=508.9კვ.მ:1087=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2=4593.6კვ.მ:1087=4.2
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ3=238.2 კვ.მ:1087=0.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

01. წარმოადგინეთ ახალი ქსელების N1/12/282 (29.03.2018) განცხადების ორივე დანართი.
02. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გადის ხაზოვანი ნაგებობ(ებ)ი (ს/კ № 01.00.649), საჭიროა, წარმოადგინოთ მათი მესაკუთრ(ეებ)ის შესაბამისი თანხმობა ან/და პოზიცია პროექტირებით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშრებით (არსებობის შემთხვევაში დამოწმებული (ხელმოწრილი) გენგეგმით).
03. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების შესაბამისად, საზოგადოებრივ საქმიან ზონა 1-ში საცხოვრებელი ფუნქციის შენობის განთავსება საჭიროებს დადგენილი წესით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მიღებას. ვინაიდან, საპროექტო შენობის ნაწილი არის საცხოვრებელი ფუნქციის, საჭიროა წარმოდგენილი იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. აღნიშნული აქტის მისაღებად უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს.
04. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:

ტოპოგრაფიულ გეგმაზე არ უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სატიტულო ინფორმაცია.

05. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
წარმოადგინეთ არსებული მდგომარეობის ამსახველი განახლებული დათარიღებული ფოტოსურათები.

06. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
„6-5“ მონაკვეთში „ე-ე“ ღერძთან აივნის იატაკი კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში იანგარიშეთ გარე კონტურზე. ვექტორულ ფაილში წარმოადგინეთ შესწორებული კროკები.

07. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
ვექტორულ ფაილში წარმოადგინეთ კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო კროკი.

08. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:
... ტიპიურობის მიუხედავად წარმოადგინეთ ყველა ნიშნულის გეგმა.;
... გასასვლელამდე სავალი მანძილები იანგარიშეთ აივნიდან.;
... წესების 1009.7.3 ქვეთავის შესაბამისად, მოხვევის საფეხურები დაუშვებელია გასასვლელი საშუალებების გზა-კიბეებზე, გარდა საცხოვრებელი ერთეულის საზღვრებში მდებარე გზა-კიბეებისა. აღნიშნულის შესაბამისად შეასწორეთ საფეხურები -2.88 და +0.00 ნიშნულებზე გათვალისწინებულ კიბის მარშებზე.;
... გეგმებზე დაიტანეთ "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს კუთვნილი ხაზოვანი ნაგებობები და OG16-68931 და OG16-72540 წერილების შესაბამისად განსაზღვრული შეზღუდვის ხაზი ზომის მითითებით.

09. შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.:
ფასადებზე მიუთითეთ მოსაპირკეთებელი მასალის ფერები საერთაშორისო RGB ან RAL კოდების მიხედვით;

10. ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). :
მიუთითეთ მოსაპირკეთებელი მასალის ფერები საერთაშორისო RGB ან RAL კოდების მიხედვით;

11. დამატებით გეგზავნებათ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის და საგანგებო სიტუაციების სამსახურის წერილები.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

ხარვეზების გამოსწორების მიზნით გეძლევათ თხუთმეტი სამუშაო დღე. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.